

შპს თბილისის გულის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება

დეკემბერი 31, 2023

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები	7
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
3. შეფასებები და გაურკვევლობის ძირითადი წყაროები.....	10
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
5. მარაგები.....	10
6. ძირითადი საშუალებები.....	11
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
8. საწესდებო კაპიტალი	12
9. შემოსავლები.....	12
10. საოპერაციო დანახარჯები	13
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	დან #	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი	2021 31 დეკემბერი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები:				
ფული და ფულადი ექვივალენტები		105,936	33,918	270,493
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	4,764,961	3,405,246	3,311,172
მარაგები	5	2,173,568	2,263,627	1,662,908
ავანსები		358,132	150,586	318,612
სულ მიმდინარე აქტივები:		7,402,596	5,853,377	5,563,185
ძირითადი საშუალებები	6	1,409,931	1,520,684	1,689,438
არამატერიალური და სხვა აქტივები		17,103	17,103	17,103
სულ აქტივები:		8,829,630	7,391,164	7,269,726
ვალდებულებები და მფლობელის კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	2,170,706	920,356	898,510
ავანსები მომხმარებლებისგან		345,167	162,558	253,675
პროცენტები და მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		383,548	560,205	690,299
გადასახადების ვალდებულებები		(4,411)	20,576	69,937
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		2,895,011	1,663,695	1,912,422
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		717,813	841,298	709,005
მფლობელის კაპიტალი:				
საწესდებო კაპიტალი	8	1,536,886	1,536,886	1,536,886
გაუნაწილებელი მოგება		3,679,920	3,349,285	3,111,414
სულ ვალდებულებები და მფლობელის კაპიტალი:		8,829,630	7,391,164	7,269,726

გენერალური დირექტორი



ფინანსური დირექტორი

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	დან #	2023 წლისთვის	2022 წლისთვის
შემოსავლები	12	15,022,151	12,446,275
საოპერაციო დანახარჯები	13	15,446,270	12,817,726
საოპერაციო მოგება		(424,118)	(371,450)
სხვა მოგება		112,805	268,652
სხვა ხარჯი		116,072	254,479
ფინანსური შემოსავალი		827,697	791,893
ფინანსური ხარჯი		69,677	196,745
მოგება დაბეგვრამდე		330,635	237,871
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		330,635	237,871
გადახდილი დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		330,635	237,871
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი), პერიოდის დასაწყისი		3,349,285	3,111,414
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი), პერიოდის ბოლოს		3,679,920	3,349,285

გენერალური დირექტორი



ფინანსური დირექტორი

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	დან	2023 წლისთვის	2022 წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		330,635	237,871
კორექტირებები:			
ცვეთა		430,382	493,846
საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		978,012	890,028
შემცირება / (გაზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების		(1,359,715)	(94,074)
შემცირება / (გაზრდა) მარაგები		90,060	(600,720)
შემცირება / (გაზრდა) ავანსები		(207,546)	168,026
გაზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,250,350	21,846
გაზრდა / (შემცირება) პროცენტები და მიმდინარე სასესხო			
ვალდებულებები		(393,652)	(288,404)
გაზრდა / (შემცირება) გადასახადები		(24,986)	(49,362)
გაზრდა / (შემცირება) ავანსები მომხმარებლებისგან		182,609	(91,117)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		515,131	(43,777)
სუფთა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		515,131	(43,777)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(319,628)	(325,092)
სუფთა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(319,628)	(325,092)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გრძელვადიანი სესხის დაფარვა		(123,485)	132,294
სუფთა ფული ფინანსური საქმიანობიდან		(123,485)	132,294
ფულადი სახსრების ცვლილება		72,018	(236,575)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		33,918	270,493
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		105,936	33,918

შპს თბილისის გულის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
 დეკემბერი 31, 2023

კაპიტალის ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2022, 31 დეკემბერი	1,536,886	3,349,285
მოგება/ზარალი	-	330,635
ნაშთი 2023, 31 დეკემბერი	1,536,886	3,679,920

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილისის გულის ცენტრი დაარსდა 2015 წლის 17 ნოემბერს. კომპანიის სამართლებრივი ფორმა წარმოადგენს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება-ს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 405125332. კომპანიის დამფუძნებლები არიან: ზაური ცხადაძე - 80%, არჩილ ჩუხრუკიძე - 15%, სერგო საყვარელიძე - 5%. კომპანიის გენერალური დირექტორია - არჩილ ჩუხრუკიძე. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება, კერძოდ მოიცავს კარდიოლოგიური, ამბულატორიული, კარდიო-ქირურგიული, ზოგად ქირურგიული, თერაპიული და ანგიოქირურგიული მომსახურების სრულ სპექტრს.

კომპანიის მიზანია მაღალკვალიფიციური მომსახურების გაწევა, ორიენტირებულია შემდგომ განვითარებაზე, პერსონალის გადამზადებაზე და აღნიშნულ სფეროში ლიდერის პოზიციის შენარჩუნებაზე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი

სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა მოქმედი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო ზომის საწარმოების შესაბამისად, 2015 წელს შეტანილი შესწორების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. გამოყენებული შეფასების საფუძველი არის ისტორიული ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფუნქციონალური და წარმოდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ამ ვალუტაში.

შემოსავლის აღიარება

(ა) საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი აღიარდება, როდესაც საქონელი გადაცემულია და საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადასულია მყიდველზე.

(ბ) მომსახურების გაწევა

შემოსავალი აღიარდება დასრულების ეტაპთან დაკავშირებით იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლის რაოდენობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები შესაძლოა შეფასდეს სანდოდ და არის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს.

(გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდით.

საკრედიტო ხარჯები

ყველა საკრედიტო ხარჯი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც ისინი გაწეულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადი აღიარდება მოგებად ან ზარალად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გადატანა ხდება კაპიტალში ან სხვა ერთობლივ შემოსავალში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის კაპიტალი შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიული ღირებულებით და დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) ნასყიდობის ფასს, არაანაზღაურებადიშემძენის ხარჯს და იმპორტის გადასახადის ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლების გამოკლების შემდეგ; (ბ) კომპანიის მენეჯმენტის მიერ განსაზღვრულ ადგილამდე და გამოსაყენებლად ვარგის კონდიციამდე მიყვანისთვის სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს; (გ) ნივთის გადატანის და დემონტაჟის პირველადი შეფასებით სავარაუდო ხარჯის და მისი ადგილმდებარეობის აღსადგენ ხარჯებს; (დ) ვალდებულებებისგან, რომლებიც კომპანიას წარმოეშვა შეძენის და კონკრეტული პერიოდის განმავლობაში გამოყენების შედეგად.

მომდევნო კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს გაუმჯობესების და შეცვლის ძირითად ხარჯებს, რომელიც ზრდის აქტივის საექსპლუატაციო ვადას ან ზრდის შემოსავლის გენერირების უნარს. შეკეთების და მოვლის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს, აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშში და სხვა ერთობლივ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებებს ან ცალკეულ ერთეულებს ცვეთა ერიცხებათ იმ პერიოდიდან, როდესაც ძირითადი საშუალება არის გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში, როგორც განსაზღვრულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ 10 წლიანი საექსპლუატაციო ვადით წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს მტკიცებულება, რომ საექსპლუატაციო ვადა ან არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ცვეთა დაკორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა

შემენილი კომპიუტერული უძრუნველყოფა აღირიცხება ღირებულებით, რომელსაც აკლდება ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ის ამორტიზირდება 5 წლიანი საექსპლუატაციო ვადით წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს მტკიცებულება, რომ საექსპლუატაციო

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

ვადა ან არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამორტიზაცია დაკორექტირდება შესაბამისად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო აქტივები, არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები ასოციაციებში გადაიხედება, რათა დადინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების ზარალი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) აღდგენითი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ აღდგენითი ღირებულება არის უფრო მცირე ვიდრე მისი საბალანსო ღირებულება, საბალანსო ღირებულება შემცირდება აღდგენით ღირებულებამდე და დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების დანაკარგებად მოგება-ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ღირებულებით. ყველა რეალიზაცია ხორციელდება ნორმალური საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებებს არ ერიცხებათ სარგებელი. ყოველ საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გადაიხედება იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ თანხები არ არის ამოღებადი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ღირებულებით (ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით). სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები არის ვალდებულებები ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და არ ერიცხება სარგებელი, სარგებლიანი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯები. ღირებულება განისაზღვრება პირველი მიღების-პირველი გაყიდვის მეთოდის გამოყენებით და მოიცავს ნაყიდობის ღირებულებას, გადამუშავების ხარჯებს და სხვა ხარჯებს სასაქონლო მატერიალური მარაგების მათ არშეზღუდულ ადგილამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯის ჩათვლით.

თანამშრომლების სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლების სარგებლის ხარჯები (მომსახურების გაწევის შემდეგ 12 თვის განმავლობაში გადასახდელი, როგორიცაა ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ჯილდოები, როგორიცაა სამედიცინო სარგებელი), აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაიწევა მომსახურება და არ დისკონტირდება.

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

3. შეფასებები და გაურკვევლობის ძირითადი წყაროები

მენეჯმენტის მხრიდან არ იყო საჭიროება გაეკეთებინა მნიშვნელოვანი დაშვებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 31 დეკემბერი
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	5,122,333
უიმედო ვალების რეზერვი	(357,372)
	<u>4,764,961</u>

5. მარაგები

	2023 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,043,154
სხვა მარაგები	130,414
	<u>2,173,568</u>

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	სპეციალური ინსტრუმენტები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2022	1,924,960	355,966	219,479	841,538	298,623	3,640,566
დამატება	148,390	1,602	-	-	644	150,635
გადაცემა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	2,073,349	357,568	219,479	841,538	299,267	3,791,201
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>						
31 დეკემბერი, 2022	1,043,061	182,886	129,343	604,137	160,454	2,119,882
პერიოდის ცვეთა	274,446	35,165	19,392	74,352	27,026	430,382
გადაცემა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	1,317,508	218,051	148,735	678,489	187,480	2,550,263
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2022	881,898	173,080	90,136	237,401	138,169	1,520,684
31 დეკემბერი, 2023	755,842	139,516	70,744	163,049	111,786	1,240,938

შპს თბილისის გულის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
დეკემბერი 31, 2023

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,170,706
	<u>2,170,706</u>

8. საწესდებო კაპიტალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილისის გულის ცენტრი დაარსდა 2015 წლის 17 ნოემბერს. კომპანიის საწესდებო შენატანი შეადგენს 1,536,886 ლარს.

9. შემოსავლები

	2023 წლისთვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,634,031
სხვა შემოსავალი	388,120
	<u>15,022,151</u>

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს ყველა სამედიცინო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

შპს თბილისის გულის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებები
 დეკემბერი 31, 2023

10. საოპერაციო დანახარჯები

	2023 წლისთვის
შრომის ანაზღაურება	7,297,004
სასაქონლო მატერიალური მაგარების ხარჯი	5,144,657
შენობის იჯარა	1,141,152
ცვეთა და ამორტიზაცია	430,382
სისხლის ანალიზური კვლევა	556,200
ოფისის და სამეურნეო ხარჯი	221,887
პაციენტის კვების ხარჯი	162,274
კომუნალური დანახარჯები	309,976
სხვა ხარჯი	182,737
	<u>15,446,270</u>

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენა.
